



მწიფე რაც ყველგან, საქართველოში, მე უან შინიანა!

ტანამემამულე

თანამემამულე, 2(33) ივნისი-ივლისი, 2009 წელი

უხსოთში მსოფრსუბ ქართულთა სანბრალური პერიოდული გამოსება



ტბა ყარაიოლი, ტაო-კლარჯეთი, თურქეთი.
ტესა ბარდიმაშვილის ფოტო

Tanamemamule Magazine of Georgian Emigrants
London, 2(33) June - July, 2009

საქართველოს ორდენები და მედლები



თამაზ მჭედლიძე
ფულაბა, გერმანია

წამოუკიდებელი საქართველოს პირველ, ოფიციალურ ორდენად, შეიძლება, წმინდა თამარ მეფის ორდენი ჩაითვალოს. როგორც მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მომსახურე გერმანელი ოფიცერი, ვიპერტ ფონ ბლიუხერი აღნიშნავდა, თამარ მეფის ორდენი „თავისი სიდიდითა და მდიდრულობით ყველა გერმანულ სამხედრო დეკორაციას ჩრდილავდა“. ამ ჯილდოს დაფუძნების ისტორია კი ასეთია.

1914 წელს გერმანიაში ქართველმა ემიგრანტებმა და სტუდენტებმა შექმნეს პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელიც მიზნად ისახავდა რუსული ბატონობის მოსპობასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას; კომიტეტის პირველი თავმჯდომარე პეტრე სურგულაძე იყო, შემდეგი — მიხეილ ნერეთელი; კომიტეტის წევრები იყვნენ: თავადი გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე, გიორგი კერესელიძე, მელიტონ ქარცივაძე; კომიტეტს აფინანსებდა გერმანიის გენერალური შტაბი; კომიტეტს განყოფილებები ჰქონდა




გიორგი მჭედლიძე თამარ მეფის ორდენით

ავსტრო-უნგრეთსა და თურქეთში; ომის დროს კომიტეტის შტაბ-ბინა მდებარეობდა თურქეთის ქალაქ სამსუნში, შემდეგ კი გადავიდა გირესუნში; 1915 წელს კომიტეტმა მონაწილეობა მიიღო ქართული ლეგიონის შექმნაში.

ქართული ლეგიონი გახლდათ სამხედრო შენაერთი, რომელიც 1915 წელს თურქეთის ქალაქ სამსუნში გერმანიის არმიის პოლკოვნიკმა ფრიდრიხ-ვერნერ ფონ დერ შულენბურგმა ჩამოაყალიბა. მასში გაერთიანებული იყო 1500 სამხედრო მოსამსახურე. საწყის ეტაპზე ლეგიონს მეთაურობდა გერმანელი ლეიტენანტი ჰორსტ შლიფაკი, რომელიც შემდგომ შეცვალა უმაღლესი ჩინის ქართველმა ოფიცერმა, მაიორმა ლეო კერესელიძემ (შეგახსენებთ, რომ ლეო კერესელიძეს დამოუკიდებელ საქართველოში გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა). პირველი მსოფლიო ომის რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე ქართული ლეგიონი განლაგებული იყო ტირნოპოლს მთის აღმოსავლეთით, მდინარე ჰარშიტის სანაპიროსთან, უშუალოდ შავი ზღვის მახლობლად. გერმანიის მთავრობა მიზნად ისახავდა ლეგიონის საქართველოში გადატყორცნას იმ შემთხვევაში, თუ ანტირუსული მოძრაობები საქართველოში გამძაფრდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტსა და თურქეთის მთავრობას შორის წამოჭრილი კონფლიქტების გამო 1917 წელს ქართული ლეგიონი დაიშალა. მაგრამ ლეგიონის ქართველმა ოფიცერებმა, ლეო კერესელიძის მეთაურობით, საფუძველი ჩაუყარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ჯარის შექმნას.

წმინდა თამარ მეფის ორდენი დაფუძნებულია 1915 წელს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მიერ ბერლინში. დაჯილდოება ხდებოდა 1916-1918 წლებში და ჯილდოვდებოდნენ გერმანიის არმიის ქართული ლეგიონის მეომრები. ორდენს ჰქონდა სამი ხარისხი: პირველი – თეთრი ან ლურჯი ფერის მინანქრით, მეორე – შავი ფერის მინანქრით ორდენის შუაგულში, მესამე კი – უმინანქრო. ორდენის ბაფთი იყო მუქი წითელი ფერის შავი გასწვრივი წერილი ხაზებით.



წმინდა თამარ მეფის ორდენები და ბაფთები


წმინდა თამარ მეფის ორდენით დაჯილდოებული იყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში ფრიდრიხ შულენბურგი. ეს ის შულენბურგია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში იყო გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში. ქვემოთ მოყვანილი სურათი გადაღებულია თბილისში 1918 წელს. მასზე აღბეჭდილია გრაფი შულენბურგი, რომლის მარცხ-

ენა მკერდზე რკინის ჯვრის ორდენის ქვევით მოჩანს წმინდა თამარ მეფის ორდენი.


საბჭოთა საქართველოს ორდენები და მედლები

ქუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაწესდა წითელი დროშის ორდენი. უნდა ითქვას, რომ 1923 წელს დაწესებული ორდენის სურათი შესრულებულია ქართული ტრადიციების დაცვით – ფარიც, გორდაც და შუბის წვერიც ქართულია და ძალიან ლამაზი (რა თქმა უნდა, დროშის წარწერისა და ხუთქიმიანი ვარსკვლავის გარდა). რუსმა კომუნისტებმა კარგად იცოდნენ, რას აკეთებდნენ. მათ უნდოდათ ახლად დაპყრობილი ქართველების გულის მოგება და ამიტომ შექმნეს ორდენის ასეთი მაღალმხატვრული სურათი. შემდეგ კი, როდესაც ქართველები საბოლოოდ დაიმონეს (1928-1931წწ.), ახალი ორდენები გააკეთეს უშნო და ტლანქი.

წითელი დროშის ორდენი, 1923 წ.



შრომის წითელი დროშის ორდენები, 1928 და 1931 წ.წ.



ეროვნული გმირის (მარცხნივ) და წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენები

თანამედროვე ორდენები და მედალები

ქმოყვანილი ორდენებიდან დახვეწილი დიზაინით მხოლოდ ეროვნული გმირის ორდენი გამოირჩევა. წმინდა გიორგის ორდენში მახვილები შუასაუკუნოვანი ფრანგულ-გერმანულის ტიპისაა. ალბათ, ქართული ორდენები რომ იყოს, იქნებოდა გაცილებით უკეთესი. რაც შეეხება სხვა ორდენებს, მათი დიზაინი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ვახტანგ გორგასლის



ვახტანგ გორგასლისა (მარცხნივ) და დავით აღმაშენებლის ორდენები

ორდენში თვალს ხვდება ასომთავრული ასოები "ვ" და "გ" (და ისიც უნიათოდ შესრულებული), სხვა ელემენტების ამოცნობა ჩვეულებრივი მოკვდავისათვის თითქმის შეუძლებელია. სხვა ორდენებში კი, ოქროს საწმისის ორდენის გარდა, წარწერების ამოკითხვა პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთი სიტყვით, ეს ორდენები განსაკუთრებულ პატრიოტულ ემოციას არ იწვევენ, რადგან მათი




მარცხნიდან მარჯვნივ: დავით აღმაშენებლის ორდენი, ღირსების ორდენი და ღირსების მედალი

დიზაინი ჩვენთვის უცხო და არაფრის-მთქმელია.

რაც შეეხება საეკლესიო ჯილდოს, წმინდა მოციქულთასწორი ნინოს ორდენს, იგი დამზადებულია 80-ან წლებში და ალბათ ამიტომაც, რომ შუაგულში მას აქვს რუსული წარწერა, რაც ეროვნული ორდენებისა და მედლებისათვის დამკვიდრებულ, საყოველთაო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როდენ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ორდენებისა და მედლების ინსტიტუტის



მედლები მხედრული მამაცობისა და საბრძოლო დამსახურებისათვის

განვითარებას საზოგადოებაში მხედრული თუ მოქალაქეობრივ-პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების საქმეში. აქედან გამომდინარე, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ტრადიციის დახვეწა-განვითარებას. ამ საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი იქნებოდა პირველი ქართული ორდენის — წმინდა თამარ მეფის ჯვარის ხელახლა შემოღება, რაც ნამდვილად შეუწყობს ხელს ქართველი ერის ისტორიული მემკვიდრეობის აღდგენას.

წროვნული გმირის ნოდება არის საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ნოდება, რომელიც ენიჭება პირს საქართველოსთვის გამორჩეული გმირული ქმედებისათვის. საქართველოს ეროვნული გმირის ნოდების მინიჭებასთან ერთად პირს გადაეცემა ეროვნული გმირის ორდენი. წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი ენიჭება პირს საქართველოსთვის მოპოვებულ გამარჯვებებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

წავით აღმაშენებლის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, საზოგადოების კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში

შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილი-სათვის.

ქორსების ორდენით ჯილდოვდებიან მოქალაქენი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისას — მშართველობის, თავდაცვის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და სპორტის დარგში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული წვლილისათვის, გმირობისა და თავდადებისათვის

წახტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანყოფილების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები. ვახტანგ გორგასლის ორდენი სამი ხარისხისაა. დაჯილდოება ხდება ასეთი თანამიმდევრობით:

III ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის.

II ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიტყეული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

I ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის.



წმინდა მოციქულთასწორი ნინოს ორდენი

ქედლით "მხედრული მამაცობისათვის" ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი, პოლიციის მუშაკები მამულის დაცვისას პიროვნული მამაცობისა და მხედრობის ვალის შესრულებისათვის, ვაჟაკობისა და გაბეული მოქმედებისათვის.

ქროს საწმისის ორდენი არის საქართველოს სახელმწიფო ჯილდო, რომლითაც ჯილდოვდებიან უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობაში, მისი ეროვნული უშიშროების ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაში, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვაში, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში, ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში.